განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი სისტემური რეფორმა, რომელიც ემსახურება მოქნილი სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბებას ადმინისტრაციული ხარჯების შემცირების გზით. ხაზგასასმელია, რომ ქვეყნაში განხორციელდა და ხორციელდება ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სოციალური სახელმწიფო პროგრამები, რომელითაც მოქალაქეებს/ადამიანებს ეძლევათ ახალი შესაძლებლობები შეცვალონ და განავითარონ თავიანთი ცხოვრება და ამით წვლილი შეიტანონ ჯანსაღი და უსაფრთხო თანამედროვე სახელმწიფოს პროგრესსა და მშენებლობაში. საქართველოს მთავრობის მიერ ბოლო წლებში განხორცილებული რეფორმების მთავარი ორიენტირი ყოველთვის იყო და არის ადამიანების კეთილდღეობა და მათი უსაფრთხო მომავალი. მთავრობა რეფორმების განხორცილების გზაზე მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა, განსაკუთრებით აღსანიშნია უსაფრთხოების საკითხები რეგიონში შექმნილი ვითარება და ზოგადად მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები. ვინაიდან მსოფლიოს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხსა და ამასთანავე, გამოწვევას წარმოადგენს უსაფრთხოება, მიზანშეწონილია, ქვეყანაში არსებობდეს ძლიერი, ერთიანი და მოქნილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის მიზანია ქვეყანაში არსებობდეს ერთიანი სტრუქტურული მექანიზმი სახელმწიფოში უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით. ვინაიდან საგარეო დაზვერვის არსია საგარეო რისკებისა და საფრთხეების განსაზღვრა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, ამასთანავე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს სწორედ რომ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა და გაძლიერება კანონიერების, ადამიანის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერებისა და დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით გამართლებულია კანონპროექტის ლეგიტიმური მიზანი - საქართველოს სახელმწიფოს დაზვერვის სამსახური გაერთიანდეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ადმინისტრაციული დანახარჯების მაქსიმალური ოპტიმიზაციით, ერთიანი საკანონმდებლო რეგულაციის შექმნის გზით, ქვეყანაში არსებობდეს ერთიანი, მოქნილი და ეფექტური სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით საქართველოს სახელმწიფო დაზვერვის სამსახურისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) გაერთიანების მიზნით ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციებს ემატება სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს, როგორც

ფუნქციურ, ასევე ორგანიზაციულ და ტექნიკური ხასიათის სამართლებრივ ცვლილებებს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის არსებულ ფუნქციებს ემატება სადაზვერვო საქმიანობის განხორციელება.

- სამსახურის უფროსი მიავლენს დაზვერვის ოფიციალურ წარმომადგენლებს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში.

- სამსახური განსაზღვრავს სადაზვერვო საქმიანობასთან დაკავშირებულ ამოცანებსა და პრიორიტეტებს.

- სამსახური განახორციელებს სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვის მეთოდურ, ორგანიზაციულ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს როგორც თავის ქვედანაყოფებში, ისე საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში.

- აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სამსახურში შეიძლება მივლენილ იქნეს საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალი სხვა დაწესებულების თანამშრომელი, შესაბამისი დაწესებულების კადრში დატოვებით. ასევე შეიძლება სამსახურის მოსამსახურის მივლენა საქართველოს დაზვერვის სისტემაში შემავალ სხვა დაწესებულებაში. მივლინების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- ზიანი, რომელიც საზღვარგარეთ მიადგა სამსახურის მოსამსახურის ოჯახის წევრს და დაკავშირებულია სამსახურის მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის საზღვარგარეთ შესრულებასთან, სრულად ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- პროექტში განისაზღვრება როგორც ვადიანი გაწვევითი სამსახურის, ასევე საკონტრაქტო სამსახურის გავლის საკითხები.

- სამსახურში მომუშავეთა რიცხოვნობა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით.

- საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფლებამონაცვლედ განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

- ასევე განისაზღვრება და ზუსტდება სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექნიკური თუ ორგანიზაციული საკითხები.

სამსახურის უფროსმა ასევე შეიძლება დაადგინოს კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები და შეღავათები სამსახურისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

კანონპროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა გარდამავალ პერიოდში ცვლილებებიდან გამომდინარე შესაბამისი რეგულაციები.

კანონპროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტთან დაკავშირებით ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე ვინაიდან კანონპროექტის თანახმად არსებული უწყებების ძირითადი ფუნქციები კვლავაც ნარჩუნდება ახალ სტრუქტურაში და მათი ჯეროვანი განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსი. ამასთან აღნიშნული ძირითადი ფუნქციების გატარებასთან დაკავშირებული დამხმარე ფუნქციების განხორციელების ნაწილში მოსალოდნელია გარკვეული ოპტიმიზაცია ადმინისტრაციული ხარჯებისა და რესურსების მიმართულებით, რაც 2018 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გამოიკვეთება.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროეტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. თუმცა რა ოდენობით აღნიშნულის წინასწარი გათვლა შეუძლებელია.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.